




ინოვაციური საქართველო 2020

საინფორმაციო საზოგადოების კომპონენტი



სტრატეგია „ინოვაციური საქართველო 2020“

საინფორმაციო საზოგადოების კომპონენტი:

1 საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარება

- ქვეყანაში მაღალი ეფექტურობის მქონე საკომუნიკაციო ქსელების და სისტემების განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის შემდეგი თაობის მობილური, უმაღლესი და ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკომუნიკაციო ქსელების.
- ქვეყანაში კონკურენციის, მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ დაშვების გავრცელების ხელშეწყობისთვის, ღია დაშვების პრინციპზე დამყარებული ოპტიკურ ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება
- ინტერნეტ პროვაიდერების სტიმულირება ბოლო მილის განსახორციელებლად, მათ შორის მცირე და საშუალო ინტერნეტ პროვაიდერული ბიზნესის ხელშეწყობა
- კომპიუტერული წიგნიერების ამაღლების და სხვა ქმედებების საფუძველზე ინტერნეტ მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდა
- კომპიუტერიზაციის პროცესის ხელშეწყობა და კომპიუტერული ტექნიკის ხელმისაწვდომობის ზრდა
- არსებული ქსელების საფუძველზე საგანგებო და მაღალი მდგრადობის ქსელების ფორმირება
- ინტერნეტ ბაზარზე ფასების შემცირება და ხარისხის ზრდა
- საქართველოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო სექტორში, ასევე რეგიონალური ჰაბის ფუნქციის განვითარება, მათ შორის მონაცემთა შენახვის ცენტრების განვითარების საფუძველზე
- უნივერსალური დაშვების პრინციპის განვითარება და ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის ზრდა
- სახელმწიფო და კერძო სექტორის ინფრასტრუქტურაზე განთავსების და გატარების გამარტივება
- სხელმწიფო უწყებების ჩართვა ერთიან მაღალსიჩქარიან დაცულ ინფრასტრუქტურაში, მათი დაშვების უზრუნველყოფა ღრუბლოვანი სერვისებთან

სტრატეგია „ინოვაციური საქართველო 2020“ საინფორმაციო საზოგადოების კომპონენტი:

2. სოციალური ტრანსფორმაცია


- საზოგადოების მიერ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების ინტენსივობის და ეფექტურობის ზრდა

3. ბიზნესის ტრანსფორმაცია

- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ბიზნესის ეფექტურობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება, მათ შორის მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ ინფრასტრუქტურასთან, პროგრამულ უზრუნველყოფასთან, ღრუბლოვანი სერვისებთან წვდომის შედეგად
- საინფორმაციო ტექნოლოგიური უსაფრთხოების საკითხების გაუმჯობესებით, ელექტრონული კომერციის და ელექტრონული ბიზნესის დანერგვა.

4. მთავრობის ტრანსფორმაცია

- საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენებით, მათ შორის საინფორმაციო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის, საინფორმაციო უსაფრთხოების ხარისხის ამაღლებით, ანალიზის და პროგნოზირების, ინფორმაციის გაცვლის, დაგეგმვის და ერთობლივი მუშაობის სისტემების განვითარებით მთავრობის ეფექტურობის ამაღლება



სტრატეგია „ინოვაციური საქართველო 2020“

საინფორმაციო საზოგადოების კომპონენტი:

5. სახელმწიფოს მონაცემების და სერვისების ელექტრონიზაცია

ელექტრონული მთავრობის სერვისების და პლატფორმების განვითარება, მათ შორის მონაცემების და პროცესების ელექტრონიზაციის გზით ღია მონაცემების პრინციპის დანერგვით, ბიზნესისათვის გარემოს შექმნა ელექტრონული მთავრობის, ჯანდაცვის და სხვა მომხმარებლისათვის საჭირო და მოთხოვნადი სერვისების შესაქმნელად.

6. ქართული ინტერნეტ სეგმენტის განვითარება

გლობალურ ქსელში ქართული ინტერნეტ სეგმენტის და კონტენტის განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის მომხმარებლისათვის მნიშვნელოვანი სერვისების, ახალი ელექტრონული მომსახურების, საინფორმაციო და საგანმანათლებლო ინფორმაციის განვითარებით. მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს კიბერუსაფრთხოების საკითხებიც

7. ინტერნეტთან მიერთებადი მოწყობილობები და ჭკვიანი ქალაქი

- ინტერნეტთან მიერთებული მოწყობილობებისგან და სენსორებისაგან მიღებული ინფორმაციის ეფექტური გადაამუშავება და გამოყენება ეკონომიკური განვითარებისათვის.

8. ლოკალურ და გლობალურ ბაზარზე ორიენტირებული პროგრამული უზრუნველყოფის და საინფორმაციო ტექნოლოგიური პროდუქტების და სერვისების განვითარება.

- სხვა და სხვა ბიზნესის, საზოგადოების თუ სახელმწიფო საჭიროებებისათვის განკუთვნილი პროგრამული უზრუნველყოფის თუ აპლიკაციების განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის პლატფორმების, რომლებიც სხვა სერვისების განვითარებას ხელს შეუწყობენ. გარკვეული უპირატესობის მიენიჭება ექსპორტირებადი პროდუქტებისათვის და სერვისებისათვის.